ანტიდასავლური ნარატივები „ფეისბუქზე“ საქართველოში

2025

ანტიდასავლური ნარატივები „ფეისბუქზე“ საქართველოში

მოკლე შეჯამება

ამ ანგარიშის მიზანია ქართული, აზერბაიჯანული და სომხურენოვანი აუდიტორიებისთვის „ფეისბუქზე“ გავრცელებული ძირითადი ანტიდასავლური ნარატივების იდენტიფიცირება, იმის დადგენა, თუ რომელი ჯგუფები, ორგანიზაციები ან ქვეყნები არიან ჩართული ამ კონტენტის შექმნასა და გავრცელებაში, ასევე იმ ინდივიდების ან სტრუქტურების გამოვლენა, რომლებიც ამ ნარატივებს ავრცელებენ. ანგარიში ასევე სწავლობს ინფორმაციით მანიპულაციის ტექნიკებს „ფეისბუქ“ პოსტებში, სადაც ანტიდასავლური რიტორიკაა გაჟღერებული.

საქართველოში „ფეისბუქზე“ ანტიდასავლური ნარატივები სისტემურ ხასიათს ატარებს, მიმდინარე მოვლენებზე რეაგირებს და პოლიტიკურ კავშირებზე მიანიშნებს. ამ ნარატივებს ავრცელებს პროსამთავრობო და მმართველ პარტიასთან ასოცირებული აქტორების ფართო სპექტრი, რომლებიც ხშირად აშკარად ყალბი ინფორმაციის გავრცელების ნაცვლად იყენებენ ე.წ. ნახევარსიმართლის მიწოდების, იარლიყების მიწებებისა და ინფორმაციით მანიპულაციით ტექნიკებს. აზერბაიჯანულენოვანი კონტენტი უფრო მეტად საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ოფიციალურ ურთიერთობებს აშუქებს და ნაკლებადაა ღიად ანტიდასავლური. სომხურენოვან სეგმენტში კი მკაფიოდ ჩანს როგორც პროსამთავრობო, ასევე რუსული გავლენით გაჯერებული ნარატივები, რომლებიც დასავლეთს საფრთხედ წარმოაჩენს, რუსეთს კი – სტაბილურობის გარანტად. სამივე ენაზე მოსაუბრე აუდიტორიის შემთხვევაში ანტიდასავლური გზავნილების გავრცელება მიჰყვება მმართველი პარტია „ქართული ოცნების“ ფართო სტრატეგიას, რომელიც მიზნად ისახავს საწინააღმდეგო აზრის დისკრედიტაციას და საკუთარი პოლიტიკის ლეგიტიმაციას.

კვლევა დაფუძნებულია შერჩეული „ფეისბუქ“ გვერდებისა და ჯგუფების მონიტორინგის გზით შეგროვებულ მონაცემებზე, 2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 31 მაისამდე პერიოდში. მთლიანობაში ანგარიში ეფუძნება ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი აუდიტორიისთვის გამიზნულ 16 გვერდსა და ჯგუფში გამოქვეყნებული 2,261 პოსტის ანალიზს. მონიტორინგი გაგრძელდება 2025 წლის ნოემბრამდე.

ანტიდასავლური ნარატივები სისტემურად ეხმიანება მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. ისინი რეაგირებს მოვლენათა ისეთ განვითარებაზე, რომლის შემთხვევაშიც წინასწარი განწყობების ფორმირება ან მხარდაჭერის მობილიზება სტრატეგიულად მნიშვნელოვანია. 2024 წლის ნოემბერ–დეკემბერში ანტიდასავლური გზავნილების ყურადღების ცენტრში იყო პროევროპული საპროტესტო აქციები. იანვარში ფოკუსი გლობალურ თემებზე გადავიდა, ხოლო გაზაფხულზე – შიდა პოლიტიკასა და ოპოზიციის დისკრედიტაციაზე.

ანტიდასავლური ნარატივები მიზანმიმართულად აკნინებს ოპოზიციურ ძალებს და ლეგიტიმაციას აძლევს ხელისუფლებას. პროევროპულ პროტესტში

მონაწილე პირები და ოპოზიციის ლიდერები წარმოდგენილნი არიან, როგორც კრიმინალები, უცხოეთის აგენტები ან დესტაბილიზაციის წყაროები, ხოლო „ქართული ოცნების“ ხელისუფლება – როგორც ეროვნული სუვერენიტეტის დამცველი. ამავდროულად, ეჭვქვეშ დგება დასავლეთის ლეგიტიმურობა და წინ წამოწეულია რუსეთთან და აღმოსავლელ პარტნიორებთან თანამშრომლობა.

ანტიდასავლური კონტენტი ძირითადად საუბრობს როგორც შიდა, ისე საერთაშორისო აქტორებზე. ხშირად ნახსენები პირები არიან: „ქართული ოცნების“ ლიდერები, ოპოზიციის წარმომადგენლები, პროტესტის მონაწილეები და პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, ასევე – ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები. დროდადრო ჩნდება პრეზიდენტი დონალდ ტრამპიც. ეთნიკური უმცირესობების სეგმენტებში მეტი ყურადღება ეთმობა რუსეთს, უკრაინას და რეგიონულ ურთიერთობებს.

ანტიდასავლური ნარატივების გავრცელებაში აქტორების ფართო სპექტრი მონაწილეობს. მთავარი გამავრცელებლები არიან: პრო–სამთავრობო მედია, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი გვერდები და ჯგუფები, კონსერვატიული პლატფორმები, პოლიტიკური სატირის ჟანრის გვერდები, ჟურნალისტები, აქტივისტები და კოორდინირებულ პირთა პირადი პროფილები. მიუხედავად იმისა, რომ სრულად გაყალბებული ინფორმაცია იშვიათია, კონტენტი მეტწილად ეყრდნობა ე.წ. ნახევარსიმართლეს, ინფორმაციის შერჩეული ნაწილის წარმოდგენას, იარლიყების მიწებებას, სუბიექტურ ინტერპრეტაციას, სატირას და აუდიო–ვიზუალურ მანიპულაციას.

აზერბაიჯანულენოვან სეგმენტში ანტიდასავლური გზავნილები ნაკლებად აშკარაა და ხშირად ოფიციალური განცხადებების სახით ჩნდება, მათ შორის აზერბაიჯანის პრეზიდენტის განცხადებების, სადაც ყურადღება გამახვილებულია საქართველო–აზერბაიჯანის ურთიერთობებზე. **სომხურენოვან კონტენტში ძლიერად ჩანს როგორც პრო–სამთავრობო, ისე რუსული გავლენის მატარებელი ნარატივები**: აქ დასავლეთი წარმოდგენილია დესტაბილიზაციის წყაროდ, ხოლო რუსეთი – სუვერენიტეტის გარანტად.

ამგვარად, ანტიდასავლური ნარატივების გავრცელება მიზანმიმართულ პოლიტიკურ სტრატეგიას ასახავს. საერთო ჯამში, კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ „ფეისბუქზე“ მათი გავრცელება მჭიდროდ უკავშირდება მმართველი პარტიის დღის წესრიგს, განსაკუთრებით პროტესტისა და ოპოზიციური აქტივიზმის დისკრედიტაციას.

ანგარიშის მოკლე შეჯამება მომზადდა პროექტის „ანტიდემოკრატიული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა ჩართულობის გზით“ ფარგლებში, რომელიც CRRC–საქართველოს მიერ შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) მხარდაჭერით განხორციელდა. მასში გადმოცემული ინფორმაცია ეყრდნობა CRRC–საქართველოს კვლევის შედეგებს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) პოზიციას.